გიორგი გაგლოევი

მსოფლიო ისტორია ანეკდოტებსა და ხუმრობებში

ISBN 978-9941-0-8308-2

გამომცემლობა ,,ლიტერა+“
1400 გორი, ჯორბენაძის №28
ტირაჟი 50 ეგზემპლარი

საფრანგეთის მეფე ლუი XII (1462-1515წწ) მილანთან ომის დაწყების წინ თავისთან ჯარის სარდალი ჟაკ ტრავიულსი დაიბარა და დინჯი საქმიანად იერით ჰკითხა:

-რა არის საჭირო ამ ომისათვის, ჩემო გენერალო?

ტრავიულსმა მშვიდად უპასუხა:

-სამი აუცილებელი რამ, მეფეო; პირველი - ფული, მეორე - ფული და მესამე, - ისევ ფული!

ერთხელ ნორმანდიის უღრან ტყეში ნადირობისას საფრანგეთის მეფე ჰენრი IV შემთხვევით ამალას ჩამორჩა და ტყეში დაიკარგა. კარგა ხნის უშედეგო ხეტიალის შემდეგ მეფემ შემთხვევით ხის ძირას ჩამომჯდარი გლეხი დაინახა. გახარებულმა ჰენრიმ გლეხს მიმართა:

-აქ რას აკეთებ?

- გავიგე ჩვენს ტყეში მეფე ნადირობს და მაინტერესებს დავინახო როგორია მეფე, - მიუგო მთქნარებით გლეხმა.

- მოდი ცხენზე შემომიჯექი, ამ ტყიდან გამიყვანე და მეფეს აუცილებლად გაჩვენებ, - ეშმაკურად უთხრა მეფემ.

წავიდნენ. გზაში გლეხი ეკითხება მეფეს:

- და როგორ უნდა ვიცნო სახით მეფე?

- სრულიად ადვილად, - მიუგო ჰენრიხმა, - შენ ყველას თავებზე უყურე; როგორც კი მეფე გამოჩნდება, ყველა ქუდს მოიხდის, მეფის გარდა.

როდესაც ტყიდან გავიდნენ, ტყის პირას შეკრებილმა მეფის შეშფოთებულმა ამალის წევრებმა ქუდები მოიხადეს და მეფეს თავი დაუკრეს.

ჰენრი გლეხს მიუბრუნდა და ღიმილით ჰკითხა:

-აბა, ახლა ხომ ხედავ მეფეს?

-ვერაფერი გავიგე, - დაბნეულმა ჩაილაპარაკა გლეხმა, - მხოლოდ მე და შენ გვახურავს ქუდები.

ერთხელ საფრანგეთის ჰერცოგმა ფილიპე ორლეანელმა (1647-1723 წწ) და მისმა მეგობარმა პარიზის კარდინალმა დიუბუამ კოსტუმირებულ ბალზე გადაწყვიტეს სტუმრობა და რომ არავის არ ეცნოთ მოილაპარაკეს, რომ უცნაურად გამოწყობილიყვნენ და თანაც ერთმანეთთან მოურიდებლად მოქცეულიყვნენ.

შუა ზეიმზე მაგარი სასმელით შეზარხოშებულმა დიუბუამ ჰერცოგს უკან მაგარი წიხლი უთავაზა.

-ჩემო მეგობარო, - მწარედ ამოიკვნესა ტკივილით შეწუხებულმა ჰერცოგმა, - შენ ძალიან ცდილობ, რომ აქ არავინ მიცნოს!

როდესაც ამერიკელმა ასტრონავტმა ნილ არმსტრონგმა მთვარეზე ფეხი დადგა, მან ასეთი ისტორიული ფრაზა წარმოთქვა:

- ეს ადამიანის პატარა ნაბიჯი, მაგრამ კაცობრიობის უზარმაზარი ნახტომია!... და შემდეგ ჩუმად ჩაილაპარაკა:

- აბა, წარმატება ბატონო გორსკი.

დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ მას ჟურნალისტები დიდი ხნის განმავლობაში სთხოვდნენ ამ ფრაზის განმარტებას; და, აი ათი წლის შემდეგ არმსტრონგმა პრეს-კონფერენციაზე ამ შეკითხვაზე ასე უპასუხა:

-როდესაც 7 წლის ვიყავი მე და ჩემი ძმა ეზოში ბეისბოლს ვთამაშობდით და შემთხვევით ბურთი ჩვენი მეზობლების, გორსკების საძინებელი ოთახის ფანჯრების წინ დაეცა. როდესაც მე ბურთის ასაღებად მივედი, გავიგონე ქალბატონი გორსკი გაბრაზებული როგორ უყვიროდა ქმარს:

- აჰა! ასე იგი შენ გინდა ორალური სექსი? ორალური სექსი გინდა, არა? მაგას შენ მაშინ მიიღებ, როდესაც ჩვენი მეზობლის ეს ცინგლიანი ბიჭი მთვარეზე გაივლის!

XIX საუკუნის ცნობილ ამერიკელ მწერალს, მარკ ტვენს გამომცემლები განუწყვეტლივ ატყუებდნენ და მან, ერთხელაც მოთმინებიდან გამოსულმა გადაწყვიტა ამერიკულ ,,პუბლიშინგ კომპანიასთან“ ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა, რომლის დირექტორი ნიუტონ კეიზი იყო.

საქმე, რომ მოეგო, მწერალმა დახმარებისათვის პირსის ადვოკატთა კანტორას მიმართა. ინსტრუქციის მიღების შემდეგ რამდენიმე დღეში მან კვლავ შეიარა ადვოკატთან.

- აბა, როგორ არის საქმე, გადაეცით სარჩელი ნიუტონ კეიზს?, - ჰკითხა

ადვოკატმა.

- დიახ, სერ, - მიუგო ტვენმა.

- რა თქვა?

- მითხრა, ეშმაკთანაც წასულხარო!

- მერე, რა ქენით?

- როგორ თუ რა? აი, თქვენთან მოვედი.

ერთხელ ცნობილი ფრანგი დრამატურგი ჟან-ბატისტ პოკლენ მოლიერი ავად გახდა და მნახველებს ერიდებოდა. ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა დახმარების მიზნით მას ექიმი გაუგზავნა. როცა მსახურმა მოლიერს ექიმის მოსვლა მოახსენა, ავადმყოფმა დაიკვნესა:

-გადაეცით, რომ ავად ვარ და არავის ვღებულობ.

რუსეთის ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდის საქვეყნოდ ცნობილი ბაზრობის დროს ,,კულტურული საზოგადოებისათვის" რომ ესიამოვნებინათ, ადგილობრივმა ხელისუფლებმა საჩქაროდ შეაგროვეს მოყვარული მუსიკოსები და კონცერტი გამართეს. დასასრულს ორკესტრის დირიჟორმა პუბლიკას დინჯად მიმართა:

-ახლა კი თქვენთვის ჩვენ შევასრულებთ ,,ტრიუმფალურ მარშს"

-როგორ?, - სასოწარკვეთით წამოიძახა ერთ-ერთმა მთავარი პარტიის შემსრულებელმა, - მე ხომ ის ახლახან შევასრულე!

ამერიკის ქალაქ ჩიკაგოს ტრიდენტის კოლეჯის მოყვარულ ფილოლოგ ,,ინტელექტუალ ქალთა" დელეგაციამ, რომელიც ინგლისში იყო ჩასული საიუბილეო კონფერენციაზე, მოინახულა შექსპირის მუზეუმი ქალაქ სტრადფორდში; შემდეგ კი ლონდონში დასაბრუნებლად ქალაქის რკინიგზის სადგურში გავიდნენ.

-მეგობრებო! წარმოგიდგენიათ, - აღტაცებული მიუბრუნდა ერთ-ერთი ქალბატონი დანარჩენ წევრებს, - ბაქანზე, სადაც ოდესღაც დიდი შექსპირი მატარებელს მოუთმენლად ელოდა, ახლა ჩვენც ვდგავართ.

1991 წლის ცივი დეკემბერის ბოლოს ზვიად გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობის საწინააღმდეგოდ თბილისში მთავრობის სასახლის წინ იმართება ზვიადის მომხრე ექსტაზირებული, ე.წ. ,,შაოსან დედათა" აქცია. მათთან მიდის ოპოზიციონერი ჯაბა იოსელიანი და ჩვეული ცინიზმით ქალების ზვიადის წინააღმდეგ გაგულისებას ცდილობს:

-ქალებო! თქვენ რომ აქ, ამ სიცივეში ასე წვალობთ, ზვიადი ეხლა თავის თბილ კაბინეტში ზის და შოპენის ,,ნოქტიურნს" უკრავს როიალზე.

ქალები ერთმანეთს აღარ აცლიან:

-უი, მაგას ვენაცვალეთ, მაგასა, შოპენის დაკვრაცა სცოდნია, ქა!

ნაპოლეონს სურდა წიგნების ზემო თაროდან რაღაც წიგნი ჩამოეღო, მაგრამ ვერ წვდებოდა. ადიუტანტმა გადაწყვიტა დახმარებოდა:

- ნება მომეცით დაგეხმაროთ, თქვენო უდიდებულესობავ, მე თქვენზე უფრო მაღალი ვარ!

ნაპოლეონმა მაშინვე მკაცრად უპასუხა:

- მაღალი კი არა, არამედ გრძელი, და თუ მოვინდომე, ამ განსხვავებას დაუყოვნებლივ ეხლავე მოვსპობ.

ალექსანდრე სუვოროვთან ერთი ოფიცერი მივიდა, რომელიც არმიაში ცნობილი იყო, როგორც ცუდი ენის პატრონი და შესაბამისად მას ბევრი მტერიც ჰყავდა. მან მთავარსარდალს შეწუხებულმა შესჩივლა რომ არმიაში ორი მტერი ჰყავდა და დაუსახელა მათი გვარები. მოულოდნელად სუვოროვმა ის სარკესთან დააყენა და ჩურჩულით უთხრა:

- ენა გამოყავი, თუ შეიძლება.

დაბნეულმა ოფიცერმა ენა გამოყო.

-აი თქვენი ყველაზე დაუძინებელი მტერი, - ჩურჩულით უთხრა სუვოროვმა.

ერთხელ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIII-მ თავისი ჯარების მთავარსარდალს ნაწყენმა ჰკითხა, თუ რატომ არ ხვდებოდნენ მარსელში სამეფო გემს სანაპიროდან საზეიმო სალუტით.

-ათეულობით მიზეზია თქვენო სამეფო ბრწყინვალებავ, – შეწუხებულმა უპასუხა მთავარსარდალმა, – პირველ რიგში, დენთი აღარ არის...

ქალაქ ნიშაპურის მეჩეთში ასეთი სიტყვები იყო კედელზე ამოკაწრული:

,,ო, დიდო ალლაჰ! თუ მე შენ გემსახურები ჯოჯოხეთის წინაშე შიშის გამო, მაშინ ჯოჯოხეთში დამსაჯე; თუ გემსახურები სამოთხეში მოხვედრის სურვილის გამო, მაშინ წამართვი ეს შესაძლებლობა; მაგრამ თუ მე გემსახურები წრფელი სიყვარულით, მაშინ მარგუნე მე ის, რაც შენ გსურს!“

XX საუკუნის 60-იან წლებში გაეროში იხილებოდა საკითხი მსოფლიოს დედაქალაქის შესახებ. ისრაელის დელეგაციამ იერუსალიმის კანდიდატურა წამოაყენა და თან დაამატა:

- ეს ადგილი თვით ღმერთის მიერაა შერჩეული.

ჩინეთის დელეგაცია ადგილიდან წამოხტა და აპროტესტებს:

- ეს ტყუილია! მაო ცზე დუნს ასეთი რამ არასოდეს უთქვამს!

როდესაც საბჭოთა კავშირის ლიდერი გიორგი მალენკოვი 1954 წელს საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფ ჩეხოსლოვაკიაში ჩავიდა, მის საპატივსაცემლოდ ხოხბებზე ნადირობა მოაწყვეს. ბუჩქიდან აფრინდა ხოხობი, მალენკოვმა მონდომებით გაისროლა და ააცდინა. ჩეხოსლოვაკიის ლიდერი ზაპოტოცკი აღფრთოვანებული ყვირის:

-ხალხო! მე სასწაული დავინახე, მოკლული ხოხობი ფრენას განაგრძობს!

კომპოზიტორ იოჰანნ შტრაუსს კონცერტებზე მუდამ თან დაყავდა თავისი საყვარელი შავი პუდელი. ერთ დღეს მან მსახურს ჰკითხა:

- რა დაემართა ძაღლს ბალანი რომ ცვივა, ავად ხომ არ არის?

- არა, - მიუგო მსახურმა, - პუდელი სრულიად ჯანმრთელია. მე მხოლოდ ვყიდი მის ბალანს თქვენს თაყვანისმცემლებზე და თან ვეუბნები, რომ ეს თქვენი თმებია.

ერთხელ ავსტრიელი კომპოზიტორი იოჰანეს ბრამსი საშუალო ნიჭის მქონე ვიოლონჩელისტს აკომპანიმენტს უკეთებდა როიალზე. იგი ფორტისიმოს უკრავდა და მთლად ფარავდა თავის პარტნიორის ხმას. შეწუხებულმა ვიოლონჩელისტმა ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჩუმად შეეხვეწა:

- გემუდარებით, ცოტა ჩუმად, მე სრულიად არ მესმის ჩემი დაკვრა.

- ბედნიერი! - წაიჩურჩულა ბრამსმა.

რუსეთის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის დროს (XVII ს) ჩინეთში ერთ-ერთი ბოიარი იქნა გაგზავნილი ქვეყნებს შორის სასაზღვრო დავის მოგვარების მიზნით. საჩუქრად ჩინეთის მმართველს რუსთა მეფემ დარჩეული და გაწვრთნილი მწევარი ძაღლებიც გაუგზავნა.

გარკვეული დროის შემდეგ ბოიარი დაინტერესდა თუ როგორ მოეწონა ჩინეთის იმპერატორს სამეფო საჩუქარი და ამის შესახებ ჰკითხა ერთ-ერთ სამეფო კარის ჩინოვნიკს.

-ძაღლები ძალზედ გემრიელი იყო, - აღფრთოვანებულმა უპასუხა ჩინოვნიკმა, - განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც სოიოს ზეთში შევწვით.

მგზავრობისას სტალინს ხშირად ახლდა მცველი გვარად ტუკოვი. იგი მუდმივად მძღოლის გვერდით მოკალათდებოდა და ხშირად ეძინებოდა.

პოლიტბიუროს რომელიღაც წევრმა, რომელიც სტალინის გვერდით, უკანა სავარძელში იჯდა, ამის გამო შენიშნა:

- ამხანაგო სტალინ, ვერ გამიგია, თქვენ ორიდან ვინ ვის იცავს?

- ეგ არაფერი, - უპასუხა სტალინმა, - თავისი პისტოლეტიც მე მომცა, ისე, ყოველი შემთხვევისთვის აიღეთო!

ერთხელ სტალინს მოახსენეს, რომ თურმე საბჭოთა მარშალ კონსტან-ტინე როკოსოვსკის საყვარელი გაუჩენია და ეს ცნობილი მსახიობი მშვენიერი ვალენტინა სეროვაა, და ჰკითხეს ახლა როგორ მოვიქცეთო?

სტალინმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო, ჩაფიქრდა და უპასუხა:

- როგორ მოვიქცეთ და... შურისგან გულზე გავსკდეთ!

უკრაინის სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარი ივან სკრიპკა პოლიტბიუროს სხდომაზე, სტალინთან დაიბარეს. მან იკითხა:

- როგორ უნდა მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ, მოკლედ თუ დაწვრი-ლებით?

- როგორც გნებავთ, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ რეგლამენტი სამი წუთია, - უპასუხა სტალინმა.

რეზო ჩხეიძეს ინგლისელი რეჟისორი ყავდა სტუმრად. ჩამოვარდა საუბარი ,,ვეფხისტყაოსნის" ეკრანიზაციაზე. ინგლისელმა რეჟისორმა მზადყოფნა გამოთქვა ფილმის გადაღებისთვის. მან სავარაუდო როლების შემსრულებლებიც დაასახელა: თინათინი - ოდრი ჰეპბერნი, ნესტან-დარეჯანი - სოფი ლორენი, ტარიელი - პიტერ ო'ტული, ავთანდილი - ალენ დელონი, ფატმანი - ბრიჯიდ ბარდო, ფრიდონი - ენტონი ქუინი;

- საკითხავია, თუ ერთობლივი ფილმია, ჩვენებიდან ვიღამ უნდა ითამაშოს? - ჩაილაპარაკა ვიღაცამ უკმაყოფილოდ.

- როგორ ვინ? - ჩაერია საუბარში იქვე მდგომი ნოდარ დუმბაძე, - ამდენ ქაჯებს თამაში არ უნდა, ჰა?

ცნობილი ფრანგი იმპრესიონისტი ედუარდ მანე ისვენებდა პარიზის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელში. იქ მას დაუახლოვდა ადგილობ-რივი ეკლესიის წინამძღვარი, რომელმაც მანეს სთხოვა ეკლესიის მოხატვა. მანე დათანხმდა და საკმაოდ სწრაფადაც გააკეთა ეს. ეკლესიის წინამ-ძღვარმა როგორც კი ნახა ფრესკები, აღშფოთდა და შესჩივლა მანეს:

-კი მაგრამ, ბატონო, სად გინახავთ თქვენ ჩექმიანი ანგელოზები?”
მანემ წარბიც არ შეიხარა და კითხვას კითხვითვე უპასუხა

-და სად გინახავთ თქვენ უჩექმო ანგელოზები?”

როდესაც ძლევამოსილი ანგორის ბრძოლის შემდეგ 1402 წელს, ,,დიადი კოჭლის“ თემურ ლენგის კარავში დამარცხებული ოსმალთა სულთანი ბაიაზიდი შემოიყვანეს, თემურმა მას შეხედა და ხარხარი დაიწყო.

-როგორ არ გრცხვენია, - შეურაცხყოფილმა მწარედ წამოიძახა სულ-თანმა ბაიაზიდმა, - დასცინო დამარცხებულს, როცა არ იცი ხვალ შენ რა მოგელის?

-ეეე, - შეეპასუხა თემური, - მე შენზე კი არ ვიცინივარ, არამედ ამ სამყაროზე, რომლის ერთი ნახევარი ალაჰმა მე, კოჭლს მომცა, მეორე ნახევარი კი შენ, ელამს!

ერთხელ ბულგარელი პოეტი ბოჟიდარ ბოჟილოვი საქართველოში სტუმრობდა. ნოდარ დუმბაძემ მას ქვეყნის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინა და მათ შორის გორშიც ჩამოიყვანა. უცებ ბოჟიდარი ბაზართან ერთ-ერთ ფეხსაცმლის ხელოსნის ფარდულთან შეჩერდა და იქ მჯდომ ხელოსანს თავის დაკვრა დაუწყო. ნოდარს გაუკვირდა. ბოჟიდარმა თავის დაკვრა რომ დაამთავრა, ნოდარს მოუბრუნდა და უთხრა:

-რა იცი, იქნებ ეს კაცი ახალი სტალინის მამაა?

ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორის სიკვდილის შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, უინსტონ ჩერჩილს ერთმა ჩინოვნიკმა თხოვნით მიმართა:

-შემიძლია თუ არა იმედი ვიქონიო, რომ მიცვალებულის ადგილს დავიკავებ?

-საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, - მიუგო ჩერჩილმა, - მაგრამ ამ საკითხზე ჩემთვის კი არა, სასაფლაოს დირექტორისათვის უნდა მიგემართად.

ოფიციალურ წვეულებაზე შამპანურის ჩამოსხმისას ოფიციანტმა შემთხვევით ჩერჩილს თავზე ღვინო გადაასხა. სუფრასთან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მსახური კი, საშინლად შეშინებული, ადგილზე გაქვავდა. უხერხული სიტუაცია ისევ ჩერჩილმა განმუხტა:

-გეთაყვა, დანამდვილებით იცით, რომ ეს სიმელოტის განკურნების ყველაზე უებარი საშუალებაა?

ცნობილ რუს რეჟისორ კონსტანტინ სტანისლავსკის ერთი არცთუ ნიჭიერი მსახიობი არ მოეშვა, სანამ მისგან ნაბართვა არ მიიღო, ეთამაშა ჰამლეტის როლი. წარმოდგენის შემდეგ იგი რეჟისორს შეეკითხა:

-ხომ კარგად შევასრულე როლი?

-ჩინებულად, ჩემო კარგო. მე მხოლოდ თქვენი თამაშის წყალობით მივხვდი, თუ რატომ მისცა წყალს თავი საბრალო ოფელიამ.

გაპრეზიდენტების შემდეგ ზვიად გამსახურდიასაგან ინტერვიუს იღებს უცხოელი კორესპონდენტი:

- ნუთუ მართალია, რომ საბჭოთა ციხეებში პოლიტპატიმრებს ისეთ პრეპარატებს უკეთებდნენ, რომლისაგანაც პატიმარი ან კვდებოდა ან გიჟდებოდა?

- რა თქმა უნდა, მე ხომ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე მაქვს

გამოცდილი!

საფრანგეთის ,,მეფე-მზე“ ლუდოვიკო XIV უხეირო ლექსებს წერდა. ერთხელ მან თავისი ნამოღვაწარი ცნობილ პოეტ ნიკოლა ბუალოს წაუკითხა და ჰკითხა:

-აბა რას იტყვი, ძვირფასო თანამოკალმევ?

ბუალომ პირმოთნედ უპასუხა:

-თქვენთვის შეუძლებელი არაფერია, თქვენო სამეფო უდიდებულესობავ. აი, აზრად მოგივიდათ შეგეთხზათ უხეირო ლექსები და შეუდარებელი ოსტატობითაც გააკეთეთ ეს.

ერთხელ, უკვე საქვეყნოდ ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა ენრიკო კარუზომ თავის სოლო კონცერტზე ძველი საყვარელი დაპატიჟა:

- ამ კონცერტზე მხოლოდ შენთვის ვიმღერებ, ძვირფასო.

- რა ამაღელვებელია, - გაუხარდა ქალს, - მაგრამ დარბაზში მარტო რომ არ ვიჯდე, შესაძლებელია, რომ რამდენიმე ადამიანი თან მოვიყოლო?

ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟან მარე ყვება: იაპონიაში მოგზაურობისას გემო გავუსინჯე იაპონურ ბრინჯის არაყს - საკეს და პირველსავე ჭიქის შემდეგ ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა. მე კელნერს მივმართე:

- ძალზედ მაგარი ყოფილა თქვენებური არაყი, ხედავთ თავბრუ დამახვია.

- ნუ ღელავთ მუსიე, - მომიგო მან, - ეს ხომ ჩვეულებრივი მიწისძვრაა

იოჰან სებასტიან ბახმა თავის მოწაფეს მოასმენინა თავისი ერთ-ერთი პრელუდია. მოსწავლემ აღფრთოვანება ვეღარ დაფარა. ბახმა მშვიდად მიუგო:

-ამაში გასაოცარი არაფერია; საჭიროა მხოლოდ დროულად დააჭირო სათანადო კლავიშებს თითი, ხოლო დანარჩენს ყველაფერს თვითონ ორღანი გააკეთებს.

ერთ საქველმოქმედო კონცერტზე კომპოზიტორი ფერენც ლისტი აკომპანიატორობდა არაპროფესიონალ ვიოლონჩელისტს, რომელიც ძალზედ ცუდად უკრავდა. ამიტომ ლისტი ძალზედ ხმამაღლა უკრავდა, რომ ჩაეხშო ვიოლონჩელისტის ხმა.

- რას შვრებით, მაესტრო? - უჩურჩულა კომპოზიტორს მოყვარულმა, მე თითქმის აღარ მესმის ჩემი დაკვრა.

- ო! თქვენ ერთადერთი ბედნიერი ადამიანი ხართ ამ კონცერტზე, - გადაუჩურჩულა ლისტმა.

ერთხელ, XX საუკუნის 30-იან წლებში მოსკოვში მთავრობის სხდომაზე სტალინის ხელმძღვანელობით განიხილებოდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა. ერთ-ერთი რაიონის წარმომადგენელმა სხდომაზე განაცხადა, რომ მის რეგიონს არ შეუძლია ამდენი რაოდენობის ხორბლის ჩაბარება:

-როგორც ამბობენ ფრანგები, თვით ყველაზე ლამაზ ქალსაც კი არ შეუძლია მოგცეს იმაზე მეტი, რა აქვს, - დაამატა მან.

სტალინმა შეუსწორა:

-მაგრამ მას შეუძლია მოგცეს ორჯერ!

ახალბედა პოეტმა ფრანსუა ვოლტერს შესაფასებლად მოუტანა ლექსების კრებული სახელწოდებით ,,შთამომავლობას“. ვოლტერმა წაიკითხა და ავტორს ოხვრით უთხრა:

-ვფიქრობ, თქვენი ლექსები ადრესატამდე ვერ მიაღწევს.

ერთხელ ინგლისის დედოფალმა ელიზაბეტ I-მა თავის ერთ-ერთ დიპლომატს მკერდზე უცხო ქვეყნის ორდენი დაუნახა და აღშფოთდა:

-ჩემს ძაღლებს მხოლოდ ჩემი საყელურები უნდა ეკეთოთ!

ერთმა საკმაოდ მსუქანმა ქალბატონმა ცნობილ რუს ექიმს, სერგეი ბოტკინს ჰკითხა:

-დოქტორო, რომელი ვარჯიშებია ყველაზე სასრგებლო, რომ გავხდე? დამეხმარეთ თუ შეიძლება.

ბოტკინმა უპასუხა:

-თავის ტრიალი მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ.

ქალმა შვებით ამოისუნთქა:

-სულ ეს არის? და როდის უნდა ვატრიალო ასე თავი?

ბოტკინმა დაუზუსტა:

-ყოველთვის, როდესაც საჭმელს შემოგთავაზებენ.

ერთხელ ნეაპოლში ენრიკო კარუზო გამოდიოდა კონცერტზე, რომელიც ეს-ესაა იწყებდა კარიერას. როდესაც მან სიმღერა დაასრულა, ვიღაცამ ჩაბნელებულ დარბაზიდან სცენაზე მას კომბოსტო ესროლა.

-აი, - წამოიძახა მომავალმა დიდმა მომღერალმა, - ჩემი სიმღერის გამო ვიღაცამ უკვე თავი დაკარგა!

ხაზინის გაღარიბებით შეშფოთებულმა საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუამ (1328-1350წწ) ქვეშევრდომები შეკრიბა და ფინანსური კორუფციის ახსნა-განმარტება მოსთხოვა. პასუხი ვერავინ გასცა. მხოლოდ სასახლის მასხარამ იხმარა ჭკუა - სასახლეში შეკრებილებიდან ერთ-ერთს ყინულის

ნაჭერი მისცა და უთხრა იგი ერთმანეთისათვის გადაეცათ. როდესაც ნატეხმა მეფემდე მიაღწია, მისგან თითქმის არაფერი დარჩენილიყო.

ასე ახსნა მასხარამ კორუფციის მექანიზმი.

ერთხელ პაბლო პიკასო პარიზის მერთან მივიდა და ქალაქის მერიის შენობის ერთი კედლის მოხატვა უფასოდ შესთავაზა.

-შენობის რემონტი ეს-ესაა რაც დავასრულეთ, - შეწუხებულმა უპასუხა მერმა,- ამიტომ მისი ხელახალი შეღებვა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ერთხელ აშშ-ს 30-ე პრეზიდენტი კელვინ კულიჯი და მისი ცოლი გრეისი პენსილვანიაში ათვალიერებდნენ საჯიშე ფრინველთა ფერმას. ქმარზე მუდამ უკმაყოფილო პირველი ლედი ფერმის მეპატრონეს მიუბრუნდა და დაინტერესებულმა ხმამაღლა ჰკითხა:

- როგორ ღებულობთ ამდენ განაყოფიერებულ კვერცხს, ასე ცოტა რაოდენობის მამლების პირობებში?

- მემ, - ამაყად უპასუხა ფერმერმა, - ჩვენი თითოეული მამალი დღეში თხუთმეტჯერ მაინც ასრულებს თავის ცოლქმრულ მოვალეობას!

- კარგი იქნებოდა ეს ჩემი მეუღლისათვის რომ გეთქვათ, - დანანებით ჩაილაპარაკა პირველმა ლედიმ.

პრეზიდენტმა მოისმინა რა მათი საუბარი, ფერმერს თვითონაც ჰკითხა:

- ნუთუ ამგვარ მოვალეობას თქვენი მამალი ამდენჯერ მხოლოდ ერთი და იმავე დედალთან ასრულებს?

- ო, არა სერ! - უპასუხა დაბნეულმა ფერმერმა, - თითოეული მამალის განკარგულებაში მთელი საქათმეა.

- ხო და ესეც უთხარით ჩემს ცოლს.

XVIII საუკუნის ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის ბენჟამინ ფრანკლინის მსახური ზანგი ხშირად ეკითხებოდა თავის პატრონს:

- ვინ არის ჯენტლმენი?

ფრანკლინი ყოველთვის დაუღალავად პასუხობდა: ეს ისეთი დაწყნარებული არსებაა, რომელიც ყოველთვის დინჯათაა, სერიოზულად ჭამს, ზომიერად სვავს, ნორმალურად სძინავს და ამასთანავე ცდილობს არაფერი გააკეთოს.

ერთხელაც მსახურმა აქოშინებულმა მიირბინა ფრანკლინთან და გახარებულმა უთხრა:

- ბატონო, მე გავიგე ვინ არის ჯენტლმენი; ადამიანი მუშაობს, ცხენი მუშაობს, ერთადერთი ღორია რომელიც მხოლოდ ჭამს, სძინავს და არაფერს არ აკეთებს. ნამდვილად იგია ჯენტლმენი, ხომ?

XIX საუკუნის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შარლ მორის ტალეირანი საკმაოდ მწარე ენის იყო. ერთხელაც, მორიგ შეხვედრაზე ერთი აბეზარი ქალბატონი, რომელიც ძალზედ ელამი იყო, მას შეკითხვით გადაეკიდა:

- მუსიე, როგორ მიდის საფრანგეთის საქმეები?

გაბრაზებულმა ტალეირანმა უკმეხად მიუგო:

- როგორც თქვენ ხედავთ, მადამ!

ცნობილია, რომ ინგლისის თეატრში ძველად ქალის როლს კაცი ასრულებდა. ერთხელ თეატრში წარმოდგენას ესწრებოდა მეფე ჩარლზ II (1660-1665წწ). სპექტაკლის დაწყება დააგვიანეს. მეფე აღშფოთდა:

- თქვენო აღმატებულებავ, - მოიბოდიშა თეატრის დირექტორმა, - საქმე ისაა, რომ დედოფალმა ვერ მოასწრო წვერის გაპარსვა.

ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი თავისუფალ დროს სიამოვნებით თევზაობდა ხოლმე, - თავისი სახლის მახლობლად, მდინარის პირას, მუდამ ერთსა და იმავე ადგილას ჩამოჯდებოდა, ჩაუშვებდა წყალში ანკესს და ფიქრს ეძლეოდა.

სათევზაოდ ასეთი უხეირო ადგილის შერჩევით გაკვირვებულმა მეზობელმა ერთ დღეს უთხრა:

- არა მგონია აქ რაიმე დაიჭიროთ; მდინარეს სათავისკენ უნდა აუყვეთ. იქ უხვად არის თევზი, ყოველ ჩაშვებაზე ანკესს თითო კალმახი წამოეგება.

- ვიცი. მაგრამ ანკესის მალ-მალე ამოწევა ფიქრში ხელს მიშლიდა, - მიუგო მწერალმა.

ერთხელ ინგლისელმა დრამატურგმა რიჩარდ შერიდანმა, რომელსაც ნადირობა ძლიერ უყვარდა, კამბერლენდში ნადირობისას ტბორთან კაცი შენიშნა, რომელიც იდგა და შინაურ იხვებს უყურებდა.

- რამდენს გამომართმევთ იხვებს, რომ ვესროლო?,- იკითხა შერიდანმა,- საკმარისი იქნება ხუთი კრონი?

კაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შერიდანმა კაცს ფული გადაუხადა, გაისროლა, ექვსი იხვი მოკლა, ჩააწყო ჩანთაში და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

- ვფიქრობ, ორივემ სასარგებლო საქმე გავაკეთეთ.

- მე განსაკუთრებით, - გაიცინა უცნობმა,- იხვები ხომ ჩემი არ იყო.

შაჰ-აბასის სახელგანთქმულმა სარდალმა ალავერდი ხან უნდილაძემ მოხელეს, რომელსაც მისთვის დასაკრძალავი აკლდამის გაკეთება გქონდა დავალებული, ჰკითხა თუ რა მდგომარეობაში იყო მისი საუკუნო განსასვენებელის მშენებლობა. მოხელემ გულუბრყვილად უპასუხა:

- მაღალი გუმბათი და აივანი, რომელიც თქვენს დასამარხ ადგილად არის განკუთვნილი, სრულყოფილი სახით დასრულდა და მხოლოდ თქვენს მობრძანებას სიხარულით ელის!

ცნობილი რუსი რეჟისორი ელდარ რიაზანოვი მიმართავს ახალგაზრდა მსახიობ ქალს:

- ახალ ფილმში თქვენ უმანკო, გამოუცდელი ქალიშვილის როლი უნდა შეასრულოთ. გაქვთ რაიმე გამოცდილება ამ მხრივ?

- თქვენ უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოდ, თუნდაც წყალში გიბრძანოთ გადავარდნა!, - განუცხადა ერთხელ ლუდოვიკო XIV თავის ქვეშევრდომებს.

ერთმა დიდებულმა მაშინვე დატოვა დარბაზი და წასვლისას მოიბოდიშა:

- გთხოვთ მომიტევოთ; დაუყოვნებლივ უნდა შევუდგე ცურვის სწავლას.

XVIII საუკუნის ცნობილ ფრანგ ნატურალისტს ჟორჟ ბიუფონს პარიზის ბოტანიკური ბაღიდან ორი საექსპერიმენტო ბანანი გაუგზავნეს მეცნიერული შესწავლის მიზნით. პატარა ბიჭმა, რომელსაც მათი მიტანა ჰქონდა დავალებული, იფიქრა, სწავლულს ორი ბანანი არაფერში სჭირდებაო და ერთი გზაში შეჭამა.

- მეორე რა იქნა? - ჰკითხა მისვლისას გაკვირვებულმა მეცნიერმა ბიჭს.

- შევჭამე, - მორიდებით მიუგო ბიჭმა.

- როგორ შეჭამე? - გადაირია მეცნიერი.

- როგორ და ასე! - უპასუხა ბიჭმა და მის თვალწინ მეორე ბანანიც სასწრაფოდ შეჭამა.

ერთხელ ნიუ-იორკში ახლად ჩასულ აინშტაინს მეგობარი შეხვდა და შენიშვნა მისცა ძველი და შელახული პალტოს გამო. აინშტაინმა უპასუხა:

- არა უშავს, აქ ჯერ მე არავინ მიცნობს.

ერთი წლის შემდეგ მეგობარი ისევ შეხვდა მეცნიერს, რომელიც იმავე პალტოთი დასეირნობდა ნიუ-იორკში. როცა მეგობარმა გაახსენა შენიშვნა, მეცნიერმა უპასუხა:

- არა უშავს, აქ ხომ უკვე ყველა მიცნობს.

როდესაც რევოლუციონერი მადამ მანონ როლანი 1793 წელს ფრანგმა იაკობინელებმა დასასჯელად გილიოტინაზე აიყვანეს, მან თამამად გაიხსნა საყელო და ხმამაღლა წარმოსთქვა:

-ოჰ, თავისუფლებავ! რამდენ ბოროტმოქმედებას სჩადიან შენი

სახელით!

აშშ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ამერიკელთა მარიონეტის - ნიკარაგუის დიქტატორის ანასტასიო პირველის შესახებ ამბობდა:

- მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. იგი ნამდვილად ძაღლის შვილია, მაგრამ - ჩვენი ძაღლის.

რაიმეთი რომ დაესაქმებინა მეზობლის მოუსვენარი პატარა ბიჭუნა, ჩარლი ჩაპლინმა საჩუქრად მას დოლი უყიდა. მას შემდეგ დილას, შუადღეს და საღამოს ეზოში დოლის ბრახა-ბრუხის მეტი არაფერი ისმოდა. მაშინ გაწამებულმა ჩაპლინმა მას კიდევ ერთი ,,საჩუქარი“ გადასცა:

- აი შენ, ბობი, ჯიბის დანა. არ გინდა ჩაიხედო რა არის მოთავსებული დოლის შიგნით?

ჩერჩილს ერთ იუბილეზე სტუმრები ერთხმად მხოლოდ ჯანმრთელობას უსურვებდნენ, რაზეც იუბილარმა ირონიულად შენიშნა:

- ჯანმრთელობასთან ერთად იღბალიც მისურვეთ, თორემ ცნობილ გემ ,,ტიტანიკზე“ ყველა მგზავრი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო.

1951 წელი. ბი-ბი-სის კორესპონდენტი ეკითხება სტალინს;

- თქვენთან საბჭოთა კავშირში არ არის სიტყვის თავისუფლება. ჩვენთან, მაგალითად ნებისმიერს შეუძლია გამოვიდეს ქუჩაში და იყვიროს: ძირს პრეზიდენტი ტრუმენი (აშშ მაშინდელი პრეზიდენტი).

სტალინმა დინჯად უპასუხა:

- ჩვენთანაც შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს გამოვიდეს ქუჩაში და იყვიროს: ძირს პრეზიდენტი ტრუმენი.

არავინ არ არის ისე სახელგანთქმული, როგორც ეს ადამიანებს ეჩვენებათ, ამბობდა მომღერალი ენრიკო კარუზო.

ერთხელ აშშ მოგზაურობისას მას კალიფორნიაში მანქანა გაუფუჭდა. სანამ მძღოლი მანქანას არემონტებდა, კარუზო სახელოსნოს მეპატრონის სახლში შევიდა.

- მე კარუზო ვარ, - წარუდგა მომღერალი სახლის პატრონს.

მეპატრონე ფეხზე წამოხტა, ხელი ჩამოართვა და აღელვებულმა წარმოთქვა:

- ღმერთო ჩემო!, - აი საკვირველება! ოდესმე შეგვეძლო გვეფიქრა, - აღტაცებული მიუბრუნდა იგი ცოლს, - რომ ჩვენს პატარა სამზარეულოში ვნახავდით ცნობილ მოგზაურს რობინზონ კრუზოს?!

1956 წლის ოქტომბერს, აშშ პროვინციულ ქალაქ პენსილვანიაში

ჩამობრძანდა ყველასათვის უცნობი იმპრესარიო და მხოლოდ ერთი საღამოთი დაიქირავა ქალაქის დიდი საკონცერტო დარბაზი. მანვე უარი განაცხადა მოლარეთა, გრიმიორთა და სხვა მომსახურე პერსონალზე. სამაგიეროდ ქალაქის ცენტრში გამოაკრა უზარმაზარი აფიშა წარწერით: ,,ის ჩამოდის!“

ერთი კვირის შემდეგ წარწერა შემდეგნაირად შეიცვალა: ,,ის აქ იქნება 31 ოქტომბერს!“

30 ოქტომბერს ეს რეკლამა ასე იკითხებოდა: ,,ის აქ არის!“

31 ოქტომბერს კი აფიშა იუწყებოდა: ,,ის კონცერტს დაიწყებს 19 საათსა და 30 წუთზე!“

საღამოს 6 საათზე იმპრესარიო სალაროში დაბრძანდა და საათნახევარში ყველა ბილეთი გაყიდა.

როდესაც გადაჭედილი მაყურებლების წინ დარბაზის საკონცერტო ფარდა აიზიდა, სცენის მთელ სიგრძეზე უზარმაზარი ასოებით ეწერა: ,,ის წავიდა!“

როდესაც ირლანდიელ მწერალს, ჯორჯ მურს 60 წელი შეუსრულდა, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც მისგან ინტერვიუს იღებდა, შეეკითხა:

- როგორ მოახერხეთ ჯანმრთელობის და ენერგიის შენარჩუნება?

- როგორც სჩანს, იმის წყალობით, რომ არ ვეწეოდი, სპირტიან სასმელებს არ ვსვავდი და ქალებს არ ვეკარებოდი, მანამ სანამ თერთმეტი წელი არ შემისრულდა.

ინგლისის მეფემ ჰენრი VIII-მ, თავის მინისტრს ,,უტოპიის“ ავტორს, თომას მორს უბრძანა წასულიყო პარიზში და საფრანგეთის მეფისათვის პირადად წარედგინა ომის გამოცხადების ნოტა.

- თქვენო უდიდებულესობავ, - უთხრა მორმა, - თქვენ ხომ იცით, როგორი მკაცრია საფრანგეთის მეფე, იგი ხელად წამაცლის თავს.

- ნუ გეშინია. თუ იგი ამას ჩაიდენს, მე დაუყოვნებლივ ვბრძანებ თავები მოჰკვეთონ ინგლისში მცხოვრებ ყველა ფრანგს!

- ძალიან კეთილი ბრძანდებით თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ვშიშობ, რომ არც ერთი ფრანგის თავი არ მოერგება ჩემს მხრებს.

ერთ დღეს მხატვარ მაქს ლიბერმანთან მივიდა მდიდარი მეწარმე, რომელიც მოდერნისტული სურათების დიდი კოლექციას ფლობდა და ხელოვანს პროფესიული რჩევა ჰკითხა, თუ რომელ საქველმოქმედო დაწესებულებისათვის გადაეცა თავისი ხელოვნების საგანძური.

ლიბერმანმა დაათვალიერა კოლექცია და განუმარტა:

- ჩემი აზრით, ყველაზე შესაფერისი იქნება, უსინათლოთა სახლს გადასცეთ!.

ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთ ღამეს ბინაზე ქურდი ეწვია. ქურდმა სიბნელეში საწერ მაგიდას მიაგნო და ფულს დაუწყო ძებნა. ამის შემხედვარე ბალზაკს ხმამაღლი სიცილი აუტყდა, სანთელი აანთო და ხმაურისგან დაფეთებულ ქურდს მიაძახა:

- არ გაგიკვირდეთ, გეთაყვა, ჩემი ხარხარი. თქვენ სიბნელეში გინდათ ჩემთან ფული იპოვოთ, მე კი სინათლეზეც ვერ მიპოვია. ამაზე მეტი სასაცილო რაღა იქნება?!

სოფი ლორენი იტალიელი ბანკირის ცოლს წარუდგინეს.

- თქვენი გარეგნობის პატრონს კინოში გადაღება შეგეძლოთ.

- კი მაგრამ, მე ხომ სოფი ლორენი ვარ.

- მერე რა? გვარს გამოიცვლიდით.

ალექსანდრე დიუმა რუსეთში მოგზაურობისას თბილისსაც ეწვია და ერთმა მაშინდელმა წიგნებით მოვაჭრემ მაღაზიაში მიიპატიჟა.

თავაზიანმა მასპინძელმა საპატიო სტუმრის მოსვლამდე მის საამებლად წიგნის ყველა თარო დიუმას ნაწარმოებებით აავსო.

- დანარჩენი ავტორების წიგნები სადღაა? - ჰკითხა გაკვირებულმა მწერალმა.

- ასე თუ ისე... გაიყიდა, - ენა დაება წიგნით მოვაჭრეს.

ერთი მდიდარი ვაჭარი ამერიკელ მხატვარ უისტლერს ეწვია ატელიეში. ხელოვანის ნაწარმოებთა დათვალიერების დროს ერთი სურათის წინ დადგა და მოინდომა შეემოწმებინა საღებავი ახალი წასმული იყო თუ არა. მხატვარმა თვალი მოჰკრა და შემრწუნებით შესძახა:

- ღვთის გულისთვის ხელი არ მოკიდოთ! საღებავი ხომ ჯერ არ გამშრალა.

- ჩემთვის გაუგებარია თქვენი აღელვება,- დამშვიდებულმა უთხრა ვაჭარმა,- ხომ ხედავთ, ხელთათმანი მიკეთია!

ერთხელ ცნობილი ფილოლოგ-გერმანისტს, მეზღაპრე ვილჰელმ გრიმს ფრანგი სტუდენტი ესტუმრა. უკვე სამი წელი გასულიყო, რაც სტუდენტი ბერლინში ცხოვრობდა, მაგრამ არც ერთი გერმანული სიტყვა არ იცოდა. გრიმს ეს გაუკვირდა და ჰკითხა:

- როგორ მოხდა, რომ ამდენ ხანს ჩვენი ენა ვერ შეისწავლეთ? თქვენი თანამემამულენი ამაზე უფრო მცირე ხნის განმავლობაში სწავლობენ გერმანულ ენას!

- მეზიზღება და იმიტომ ვერ ვისწავლე, - მიუგო ახალგაზრდამ,- იგი ცხენების ენაა!

-ახლა კი მივხვდი, რატომ უჭირთ ვირებს ამ ენის შესწავლა!

საბერძნეთში, ერთ-ერთი ქალაქის მოედანზე ვიღაც მოქალაქე მშვილდ-ისრით სროლაში ვარჯიშობდა, იგი ცუდი მსროლელი იყო და ნასროლი ისრები მიზანში არ ხვდებოდა. ამიტომაც მისთვის მისივე უნიჭობა, რომ დაენახვებინა, ბრძენი დიოგენე პირდაპირ მის სამიზნესთან მოკალათდა და ხმამაღლა განაცხადა:

-ეს ადგილი ყველაზე უსაფრთხო ადგილია.

ერთხელ ბერძენმა ტირანმა დიონისემ საკუთარი ლექსები წაუკითხა პოეტ ფილოქსენეს და რა აზრის ხარო, - ჰკითხა. პოეტმა ლექსები დაუწუნა. გაბრაზებულმა დიონისემ დასაჯა და ქვის სამტეხლო კარიერზე სამუშაოდ გაამწესა.

გარკვეული დროის შემდეგ დიონისეს წყენამ გაუარამ, ძველი ლექსები შეასწორა, კვლავ ფილოქსენე მოიხმო, ლექსები საუკითხა და - რა აზრის ხარო, ჰკითხა. ფილოქსენემ ყურადღებით მოუსმინა, წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა.

- სად მიდიხარ? - გაუკვირდა დიონისეს.

- ქვის სამტეხლო კარიერზე! - უპასუხა პოეტმა.

სპარსეთის დაპყრობისას ალექსანდრე მაკედონელი გზად ბერძნულ ქალაქ ლამპსაკს მიადგა, რომლის მოქალაქეებსაც სპარსული ორიენტაცია ეკავათ. ქალაქის მაცხოვრებელნი შეშინდნენ, ალექსანდრე ქალაქს მიწასთან გაასწორებსო და მაკედონელთან მისი მამის, ფილიპეს მეგობარი ფილოსო-ფოსი ანაქსიმენე მიუგზავნეს.

ალექსანდრე ანაქსიმენეს დანახვისთანავე მიხვდა, რის სათხოვ-ნელადაც მიდიოდა მასთან ფილოსოფოსი და შორიდანვე მიაძახა:

- ვფიცავ ღმერთებს, არ შევასრულებ შენს თხოვნას!

ანაქსიმენე არ დაიბნა და ალექსანდრეს უთხრა:

- მეფეო, მე გთხოვ, დაანგრიო ქალაქი!

ალექსანდრემ ფიცი ვეღარ გატეხა და ლამპსაკი დანგრევას გადარ-ჩენილა.

საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XI-ს კარის ასტროლოგმა ზუსტად იწინასწარმეტყველა მეფის ფავორიტი ქალის სიკვდილი. გაბრაზებულმა ლუდოვიკომ ასტროლოგის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა, ჯალათთან ერთად თავისთან მიიხმო და ირონიულად ჰკითხა:

- ყველას სიკვდილს რომ წინასწარმეტყველებ, თავად შენ რამდენი დრო დაგრჩა.

- მე თქვენზე სამი დღით ადრე მოვკვდებიო” – უპასუხა მიხვედრილმა ასტროლოგმა და... გადარჩა;

ცნობილია, რომ ალბერტ აინშტაინი დადიოდა სხვადასხვა უნივერ-სიტეტში და ატარებდა ფარდობითობის თეორიის შესახებ ლექციებს. ერთ-ერთი მგზავრობისას კი მისმა მძღოლმა განაცხადა:

- ბატონო ალბერტ, უკვე იმდენჯერ მოვისმინე თქვენი ლექცია, რომ სანამლეოს ვდებ, მეც შევძლებ მაგ ლექციის ჩატარებას.

- კარგი, მოგცემ ერთ შანსს - დაეთანხმა ალბერტი, - აი შემდეგ უნივერსიტეტში არ მიცნობენ, ასე რომ, როცა მივალთ, შენს ქუდს მე დავიხურავ და შენ გააცანი იქ მყოფთ თავი, როგორც აინშტაინი და ჩაატარე ლექცია.

მძღოლმა ყოველგვარი შეცდომის გარეშე ჩაატარა ლექცია. როცა დაამთავრა და წასვლა დააპირა, ერთ-ერთმა პროფესორმა შეაჩერა და დაუსვა რთული შეკითხვა, რომელიც დაკავშირებული იყო მათემატიკურ ფორმულებთან და განტოლებებთან. მაგრამ მოხერხებული მძღოლი არ დაიბნა და გაოცებული სახით მიმართა პროფესორს:

- პასუხი მაგ შეკითხვაზე იმდენად მარტივია, რომ გაკვირვებული ვარ, როცა მე მეკითხებით. მაგ შეკითხვას მე კი არა, ჩემი მძღოლიც უპასუხებს, და რათა დაგიმტკიცოდ ეს, ახლავე ვთხოვ აქ მოვიდეს და გიპასუხოთ შეკითხვაზე.

ვაიმარში ექსკურსანტები გოეთეს სახლ - მუზეუმს ათვალიერებდნენ. სანახავი ბევრი რამ იყო და დამთვალიერებლები დიდხანს დადიოდნენ ოთახებში. ერთ ქალს მოსწყინდა ამდენი სიარული და სკამზე ჩამოჯდა.

– ეგ გოეთეს სკამია და დაჯდომა არ შეიძლება, – გააფრთხილა იქაურმა თანამშრომელმა.

– მერე რა უშავს, – მიუგო ქალმა, – როცა მოვა, ავდგები.

– საინტერესოა, სიყვარულში ბედმა გაგიღიმათ თუ არა? – ჰკითხა ნაცნობმა ქალმა მარკ ტვენს.

– არა, ჩემო კარგო, – სევდიანად მიუგო მან, – ერთადერთი ქალი მიყვარდა და ისიც გათხოვდა.

– ღმერთო ჩემო! – მწარედ წამოიძახა ქალმა, – და ვის გაჰყვა!

– მე! – თქვა მწერალმა.

ინგლისელმა პოეტმა რობერტ საუთიმ გაზეთში წაიკითხა ლექსი,

რომელსაც მისი გვარი ჰქონდა მოწერილი, თუმცა მას არ ეკუთვნოდა. იგი აღშფოთებული მიიჭრა რედაქციაში საჩივლელად:

– თანაც ლექსი საშინლად სუსტია, – დასძინა ბოლოს.

– ეგ ჩვენც ვიფიქრეთ, მაგრამ მაინც დავბეჭდეთ, რადგან თქვენი გვეგონა, – უთხრა რედაქტორმა.

ერთმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა იოჰან შტრაუსს თავისი ახალი ბალადა დაუკრა.

– მშვენიერი ნაწარმოებია! – უთხრა შტრაუსმა, – ოღონდ, აი, ზოგიერთი ადგილები მოცარტს მაგონებს.

– არა უშავს, ეს ხელს არ შეუშლის! – მიუგო ამაყად კომპოზიტორმა, – მოცარტს ყოველთვის სიამოვნებით ისმენენ...

ერთხელ, უკვე მოხუცებული მხატვარი ედუარდ მანე დასასვენებლად საფრანგეთის მიყრუებულ პროვინციულ ქალაქ ლილში ჩავიდა და პირველსავე დღეს გამოთვრა. პოლიციელებმა მაშინ შეამჩნიეს, როდესაც სასტუმროს შენობის წინ ოთხით მოფოფხავდა.

- აა, მთვრალი ხართ, არაა?

- დიახაც, მთვრალი გახლავართ, მერე რა... რაფაელიც ხომ სვამდა... მოდილიანიც... ვან გოგიც...

ერთი პოლიციელი მიუბრუნდა მეორეს.

- ერთი მიდი, გაიარ-გამოიარე, შესაძლოა ის ლოთებიც აქვე, სადმე ახლოს ყრიან.

კინოფილმ ,,უძინართა მზის“ გადაღებისას რეჟისორ თემურ ბაბლუანს ერთ-ერთი როლის შესასრულებლად სპორტული აღნაგობის ბიჭი დასჭირდა.

კანდიდატურების შერჩევისას მასთან გამოცხადდა ათლეტური აღნაგობის ბიჭი.

- თქვენი გვარი? - ჰკითხა რეჟისორმა.

- წერეთელი,- უპასუხა მან.

- ოჰო, ცნობილი გვარი გქონია!

- არც თუ ისე, სულ ორი წელია, რაც დიღმის სპორტსკოლაში ვარჯიში დავიწყე, - მორიდებით უპასუხა ბიჭმა.

ცნობილი მსახიობი დევრიენი ბერლინის თეატრში შექსპირის პიესაში ”რიჩარდ მესამის” როლს ასრულებდა. ფინალურ სცენაში, როდესაც წარმოსთქვა: ”ცხენი! ცხენი! მთელს ჩემს სამეფოს ერთ ცხენში გავცვლი!”, - უკანასკნელი იარუსიდან ერთ-ერთმა მაყურებელმა ხმამაღლა გადმოსძახა:

- ვირი არ გამოგადგებათ?

- როგორ არა, ჩამობრძანდით! – მაშინვე დაეთანხმა დევრიენი.

ვოლტერის ერთ-ერთმა ოპონენტმა ცხარე კამათის დროს მას იდიოტი უწოდა. ვოლტერმა გაიღიმა, შეხედა მოწინააღმდეგეს და თქვა:

- ძვირფასო პროფესორო, დღემდე ჭკვიან ადამიანად გთვლიდით, თქვენ მე იდიოტად მიგაჩნივართ. რას იზამთ, შესაძლოა, ჩვენ ორივე შევცდით.

დარბაზობაზე ერთმა ახალგაზრდამ მიმართა ბერნარდ შოუს:

-ეს თქვენ ბრძანდებით განთქმული იურისტი? მართალია, რომ თქვენი მამა მკერავი იყო?

- დიახ, - დაუდასტურა შოუმ.

- მაშ, რატომ არ გახდით თქვენც მკერავი?

-ძნელია თქმა. ბედია, ან შესაძლებელია უბრალო ახირება. აი, მაგალითად, თქვენი მამა, მგონი, ჯენტლმენი იყო?

- რასაკვირველია, - დაუმოწმა ახალგარზრდამ.

- მაშ, თქვენც რატომ არ გახდით ჯენტლმენი? - შეეკითხა შოუ.

ბერნარდ შოუს ჰკითხეს:

- მითხარით, გეთაყვა, როგორ ახერხებთ, რომ ყოველ წუთს შეგიძლიათ წარმოთქვათ ბრძნული და გონებამახვილური ფრაზები ?

- სრულიად უბრალოდ, - უპასუხა შოუმ,- მე ვფიქრობ დიდ სისულელეზე და იმავე წუთს ვამბობ მის საწინააღმდეგოს.

კარუზოს სიკვდილის შემდეგ, მისი იმპრესარიო დიდებული მომღერლის შემცვლელს ეძებდა. მასთან ახალგაზრდა მომღერალი მივიდა. იმპრესარიომ მოუსმინა და შეჰყვირა:

- ოჰ, სენიორ, თქვენ სავსებით შეგეძლოთ შეგეცვალათ განსვენებული ენრიკო.

- თქვენ ასე ფიქრობთ? - აღფრთოვანდა კმაყოფილი მომღერალი.

- დიახ, მის მაგივრად რომ მომკვდარიყავით.

როდესაც 1714 წელს ევროპაში ვიზიტის დროს სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV წინაშე აუდიენციაზე წარსდგა, მეფე საკმაოდ მოტეხილად გამოიყურებოდა ავადმყოფობის გამო.

-სიბერე შემომეპარა, ხუმრობა ხომ არაა, სამოცდათექვსმეტი წლის ვარ, - ენის ბორძიკით წარმოთქვა ლუდოვიკომ.

-დიდო მეფეო, თქვენი უდიდებულესობა ამ წლოვანებას ისეთი მშვენებით ატარებს, რომ ყველა ისურვებდა თქვენს ასაკში ყოფნას, - პირმოთნედ მიუგო სულხან-საბამ.

ერთხელ ჰაინრიჰ ჰაინეს ახალგაზრდა მკვლევარი ეწვია. სტუმარმა ცხადია, იცოდა, რომ ჰაინე ებრაელი იყო და სასხვათაშორისოდ უთხრა:

- იცით კუნძულ ტაიტზე მოგზაურობის დროს ჩემზე განსაკუთრებით რამ მოახდინა შთაბეჭდილება?

- რამ?

- იმან, რომ, იქ არც ებრაელებია და არც ვირები.

- მაგრამ მაგ მდგომარეობის გამოსწორება სავსებით შესაძლებელია,- მიუგო მშვიდად ჰაინემ, - ხომ შეიძლება მე და თქვენ ერთად მოვხვდეთ ამ კუნძულზე?

ახალგაზრდა ლიტერატორმა გადათარგმნა შექსპირის ცნობილი ტრაგედია "ჰამლეტი" და ანახა იგი ცნობილ რუს მსახიობს პეტრე კარატიგინს. მან ყურადღებით გადაიკითხა გულუბრყვილო ბავშური თარგმანი, ახალგაზრდას სქელი რვეული დაუბრუნა და უთხრა:

- ოჰ, ყმაწვილო! როგორ არა გრცხვენიათ!"ჰამლეტში" ისედაც ყველა მოქმედი პირი კვდება და თქვენ მათ შექსპირიც მიაყოლეთ ?!

ერთხელ ფრანგმა კომიკოსმა მსახიობმა ფერნანდელმა დასვენების დროს ნადირობა მოიწადინა . გზაში ნაცნობი შეხვდა.

- ამას რას ვხედავ, ბატონო ფერნანდელ? თქვენ, ბუნების მეგობართა საზოგადოების ყველაზე აქტიური წევრი, ცხოველთა სამყაროსადმი ჰუმანური დამოკიდებულების მომხრე და... ნადირობა ?

- კი მაგრამ, რატომ არ უნდა ვინადირო?- სევდიანად გაიცინა ფერნანდელმა,- მე ხომ ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც კი არ მომირტყავს მიზანში.

ვოლტერის მსახურმა, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარი იყო, თავის პატრონს სოფელში ნათესავებთან გასაგზავნი წერილის დაწერა სთხოვა. როდესაც წერას მორჩა, ვოლტერმა მსახურს წერილი გამოთქმით ხმამაღლა წაუკითხა და ჰკითხა, კიდევ რამის დამატებას ხომ არ ისურვებდა.

-ბატონო, თუ შეიძლება მიაწერეთ რომ წერილის ავტორი თქვენ ბრძანდებით და რომ ამ სულელური სტილისთვის ბოდიში ვიხდი - უპასუხა მსახურმა.

ამერიკელ მწერალს, ცნობილ მონადირეს ერნესტ ჰემინგუიეს ჰკითხეს:

- მართალია, რომ თუ ანთებული ჩირაღდნით ივლი, ლომი თავს არ დაგესხმის?

მწერალმა უპასუხა:

- ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სიჩქარით ივლით.

მოლიერის ,,ტარტიუფს“ საკმაოდ დიდი წარმატება ჰქონდა პირველივე წარმოდგენაზე და მეორე დღისთვისაც მთელი დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით, მაგრამ სპექტაკლის წარმოდგენის წინ თეატრში გამოცხადდა პარიზის პარლამენტის წარმომადგენელი ლამუანიონი პიესის აკრძალვის ბრძანებით. მოლიერი მაყურებელთა წინაშე გამოვიდა და მწუხარე სახით განაცხადა:

-პატივცემულო ბატონებო! ჩვენ დღეს გვინდოდა თქვენთვის გვეჩვენებინა ,,ტარტიუფი“, მაგრამ ბატონ პარლამენტის პრეზიდენტს არ უნდა რომ, იგი გიჩვენოთ!

1940 წელს სსრკ-ს მიერ ლიტვის მიერთების შემდეგ საბჭოთა ჯაზმენი ლეონიდ უტიოსოვი რიგაში ჩავიდა. აქ მას სასწრაფოდ დასჭირდა ახალი საკონცერტო კოსტიუმი. იგი მკერავთან მივიდა, ზომები ააღებინა და თან თხოვნით დაამატა:

- თუ შეიძლება სამ დღეში ჩაეტიეთ.

- ხვალვე, - მოკლედ უპასუხა მკერავმა.

- მაგრამ მე მინდოდა, - გააგრძელა უტიოსოვმა და თან ეჭვის თვალით შეხედა მკერავს, - რომ თქვენს მიერ შეკერილი კოსტიუმი იმაზე ნაკლები არ იყოს, რაც მე მაცვია.

მკერავმა შეათვალიერა უტიოსოვის კოსტიუმი და ჰკითხა:

- ვინ შეგიკერათ იგი!

- იგი მე თვით ოდესაში რასტორგუევმა შემიკერა!, - თავმომწონედ დაიწყო უტიოსოვმა.

- მე მაინტერესებს, არა მაგ კაცის გვარი, - შეაწყვეტინა საჩქაროდ მკერავმა, - არამედ ის, თუ რა პროფესიისაა იგი?

ერთხელ, მორიგ სამთავრობო სხდომაზე 1938 წელს სსრკ შეიარაღების მინისტრი ვანნიკოვი ომახიანად გამოდიოდა, რომელმაც თავისი მოხსენება ასე დაასრულა: ჩვენ ყველაფერ შესაძლებელს ვაკეთებთ, ამხანაგო სტალინ, ქვეყნის უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

სტალინმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და მინისტრს წყნარად მიმართა:

-ამხანაგო მინისტრო, ჩვენ თქვენ მუშაობაში არ შეგზღუდავთ, შეგიძ-ლიათ გააკეთოთ შეუძლებელიც.

ამერიკის პრეზიდენტობის რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს თეოდორ რუზველტს ფილადელფიაში საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას სიტყვა შეაწყვეტინეს შემახილით ,,მე დემოკრატი ვარ!“.

-შეიძლება ვიკითხო, რატომ არის ეს ადამიანი დემოკრატი? - ცოცხლად იკითხა რუზველტმა.

-პაპაჩემი დემოკრატი იყო და მამაჩემიც დემოკრატია, - ხმამაღლა

მიუგო ოპონენტმა.

სუსტი არგუმენტით დაიმედებული რუზველტი მიუტრიალდა ოპონენტს და ღიმილით კიდევ ერთი კითხვა დაუსვა:

-მითხარით გეთაყვა, პაპაშენი და მამაშენი სულელები რომ ყოფილიყვნენ, შენ ვინ იქნებოდი?

-რესპუბლიკელი!, - მოკლედ მიუგო ოპონენტმა.

ერთხელ მდინარის პირას სეირნობისას შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი შეესწრო, თუ როგორ გადაარჩინა წყალში დახრჩობას ერთმა ღარიბმა კაცმა ადგილობრივი მდიდარი ვაჭარი. როდესაც ვაჭარი გონზე მოვიდა, გადაწყვიტა გადარჩენისათვის მადლობა გადაეხადა და ამ მიზნით გადამრჩენს სპილენძის ერთგროშიანი გაუწოდა. იქ შეკრებილი ხალხი ამგვარმა სიძუნწემ აღაშფოთა და გადაწყვიტეს ვაჭრის მდინარეში

ხელახლა გადაგდება, მაგრამ ბერნსმა ისინი დააწყნარა:

-გთხოვთ გაანებოთ მას თავი. მან ხომ ყველაზე კარგად იცის თავისი სიცოცხლის ფასი!

ერთხელ ცნობილმა რუსმა ექიმმა სერგეი ბოტკინმა მესამედაც არ მიიღო ერთ-ერთი სუსტი ცოდნის სტუდენტის გამოცდა. იმავე საღამოს მასთან აღელვებულ სტუდენტთა ჯგუფი მივიდა და ბოტკინს შეწუხებულებმა უთხრეს, რომ მათი ,,ჩაჭრილი“ მეგობარი აპირებს ,,გულში დანა დაირტყას.“

ბოტკინმა ისინი დაამშვიდა:

-ნუ ღელავთ, თქვენი მეგობარი იმდენად უცოდინარია ანატომიაში, რომ იგი გულს ვერ იპოვის!

რუსეთის იმპერატორმა პეტრე I დიდმა გადაწყვიტა გამოეცა კანონი მექრთამეთა სიკვდილით დასჯის შესახებ.

-თქვენო უდიდებულესობავ!, - შეწუხებული შეეპასუხა პროკურორი იაგუჟინსკი, - თქვენ გინდათ სახელმწიფოში მარტოდ დარჩედ?

ცნობილ ინგლისელ ქირურგ ჯოზეფ ლისტერს სოფელში ბებიისაგან მემკვიდრეობით ერთი ძველი სახლი დარჩა. მან ეს სახლი გადაწყვიტა, რომ გაეყიდა და ამ მიზნით ლონდონელ განთქმულ მაკლერს სთხოვა დახმარება. მაკლერმა ძლივ-ძლივობით, როგორც იქნა იპოვა ერთი მყიდველი და ლისტერთან ერთად დაიწყო გასაყიდი სახლის ქება. როდესაც ის-ის იყო მყიდველი დათანხმდა სახლის ყიდვას, ლისტერმა გაყიდვაზე უარი განაცხადა. მყიდველის წასვლის შემდეგ იგი გაკვირვებულ მაკლერს მიუტრიალდა:

-თქვენ ისე დარწმუნებით და ლამაზად მოუყევით მყიდველს სახლის

დაგეგმარება და მისი ბუნებრივი სილამაზე, რომ მე თვითონ მომინდა გავმხდარვიყავი მისი მფლობელი.

ამერიკელი მწერალი ფრენსის ბრეტ ჰარტი ერთხელ რიჩმონდში ჩავიდა თავისი ახალი წიგნის პრეზენტაციის მიზნით. მოულოდნელად იგი ავად გახდა. ადგილობრივმა ექიმმა მისი დამშვიდება გადაწყვიტა:

-რომ იცოდეთ, ჩვენთან ისეთი ჯანმრთელი კლიმატია, რომ სტატისტიკურად დღეში მხოლოდ ერთი ადამიანი კვდება.

მწერალი საწოლზე წამოიწია და შეშინებულმა ექიმს ჰკითხა:

-მითხარით, დღეს ვინმე უკვე მოკვდა?

როდესაც აქემენიდმა მეფემ კიროს დიდმა ლიდიის მეფე კრეზი დაამარცხა, გახარებულმა თავისი სამეფო კარავი იმ ბორცვზე დადგა, საიდანაც კარგად სჩანდა თუ როგორ არბევდნენ მისი ჯარისკაცები დამარცხებული კრეზის სატახტო ქალაქს.

-რას აკეთებენ შენი ჯარისკაცები?, - შეეკითხა მონებივრე კიროსს კრეზი.

-ვერ ხედავ, ისინი შენ ქალაქს ძარცვავენ! - ირონიულად მიუგო კიროსმა.

-არა! ეს ქალაქი შენ მე წამართვი და ახლა ისინი შენს ქალაქს ძარცვავენ!, - მიუგო კრეზმა.

მას შემდეგ, როდესაც 1952 წელს ეგვიპტის მეფე ფარუკ I ტახტიდან გადააყენეს, მან მწარედ იხუმრა:

-როგორც ვატყობ, მალე მსოფლიოში ოთხი მეფე დარჩება: ოთხი ბანქოს და ერთიც არაფრის მაქნისი ინგლისის მეფე!

ცხოვრების მეორე ნახევარი ბერნარდ შოუმ გაატარა სოფელ ეიოტ-სენტ-ლორენში. როდესაც ლონდონელმა ჟურნალისტებმა მას ჰკითხეს, თუ რატომ აირჩია მან საცხოვრებლად ეს არაფრით გამორჩეული სოფელი, მან ჟურნალისტები ადგილობრივ სოფლის სასაფლაოზე წაიყვანა და უჩვენა საფლავის ქვა, რომელზეც ეწერა: ,,აქ განისვენებს ჯეინ ევერლი. დაიბადა 1815 წელს. გარდაიცვალა 1896 წელს. მისი ცხოვრება იყო ხანმოკლე გაელვება.“

-თუ ქალზე, რომელმაც 81 წელი იცხოვრა, ითქვა, რომ მისი ცხოვრება იყო ხანმოკლე, მაშინ აქაური კლიმატი ზუსტად საჩემოა.

ერთხელ ფილოსოფოს სოკრატესთან მივიდა მდიდარი ოჯახიშვილი და სთხოვა, საჯაროდ ლაპარაკი მასწავლეო.

სოკრატემ დიდი მოთმინებით მოუსმინა ბიჭს, რომელიც დაუმთავ-

რებლად ლაყბობდა ყველაფერზე და სწავლებაში ორმაგი თანხა მოსთხოვა, დაინტერესებულმა ყმაწვილმა მიზეზი იკითხა, რატომ უნდა გადავიხადო მე ორჯერ მეტი, როდესაც სხვები ნაკლებს იხდიანო...

ბრძენმა მოკლედ უპასუხა:

- შენ სანამ საჯაროდ ლაპარაკს გასწავლი, ჯერ გაჩუმების სწავლება მომიწევსო

ერთხელ გერმანელ მეცნიერს ალექსანდრე ჰუმბოლტს მეგობარმა გამოართვა დეფიციტური წიგნის ,,სამხრეთ ამერიკის ფრინველების“ ორტომეულის პირველი ტომი. მიუხედავათ მეცნიერის არაერთი შეხსენებისა, წამღები წიგნის დაბრუნებას საერთოდ არც კი ფიქრობდა. მაშინ ჰუმბოლტმა მას მეორე ტომიც გაუგზავნა წარწერით: ,,დაე, ერთ-ერთი ჩვენთაგანი მაინც ფლობდეს ორივე ტომს“.

ბუკინისტურ მაღაზიაში შოუ შემთხვევით გადააწყდა თავის წიგნს თავისივე ავტოგრაფით: ,,მისტერ ელიოტს ჯორჯ ბერნარდ შოუსგან დიდი პატივისცემით!“

შოუმ გამოისყიდა წიგნი და ხელახლა გაუგზავნა მის ყოფილ მფლობელს ახალი მინაწერით:,,განახლებული პატივისცემით! ჯ.ბ.შოუ“

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში მუსოლინმა ლაშქრობა მოაწყო საბერძნეთში, რომელშიც მან კრახი განიცადა. ამასთან დაკავშირებით ჰიტლერმა მას დასამცირებლად ტელეგრამა გაუგზავნა, რომელსიც ეკითხებოდა:

- მართალია, რომ ერთმა ბერძენმა ჯარისკაცმა ტყვედ ხუთასი იტალიელი ჯარისკაცი აიყვანა?

რამდენიმე დღის შემდეგ ჰიტლერი ღებულობს პასუხს:

-ცნობა მცდარია. ხუთასმა იტალიელმა ტყვედ აიყვანა ერთი ბერძენი.

თვალთმაქცი მე მაგონებს ადამიანს, რომელმაც მოკლა მშობლები და სასამართლოს თხოვს შეწყნარებას იმის საფუძველზე, რომ იგი ობოლია, – ამბობდა აშშ პრეზიდენტი აბრაჰამ ლინკოლნი.

ალექსანდრე დიუმა–მამა ალექსანდრე დიუმა–შვილის პიესის პრემიერას დაესწრო და ნანახი მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. მის გვერდით მჯდომმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ირონიულად შენიშნა:

-თქვენ ისე იქცევით, თითქოს თქვენ იყოთ პიესის ავტორი!

-მე ავტორის ავტორი ვარ! – ამაყად უპასუხა დიუმამ.

ფრანგი მსახიობი სარა ბერნარი ერთ წარმოდგენაში მათხოვრის როლს ასრულებდა. ის იყო წარმოთქვა სიტყვები: “ისეთი უმწეო ვარ, რომ სიარულის თავიც აღარა მაქვს, ალბათ, შიმშილით მოვკვდები!” – რომ უცებ შეამჩნია, რომ სცენაზე გამოსვლის წინ ოქროს სამაჯურის მოხსნა დავიწყებოდა. ვიდრე წამიერად შეცბუნებული იდგა, დარბაზიდან ვიღაცამ ხმამაღლა დაუძახა:

– მერედა, გაყიდეთ ეგ ოქროს სამაჯური.

-ვცადე, მაგრამ იგი ყალბი ყოფილა, - არ დაიბნა მსახიობი.

ვენაში ერთი ცნობისმოყვარე ყმაწვილი შეეკითხა უკვე სახელგანთქმულ მოცარტს, როგორ დაეწერა მას სიმფონიები.

-თქვენ ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდა ხართ. რატომ არ გსურთ დაიწყოთ ბალადიდან?- უთხრა კომპოზიტორმა .

- თქვენ ხომ სიმფონიების წერა დაიწყეთ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ათი წლისაც არ იყავით?

- დიახ,- ღიმილით უპასუხა მოცარტმა,- მაგრამ მე არასოდეს არ მიკითხია, თუ როგორ უნდა დაიწეროს იგი .

როდესაც გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების პირველი კრებული გამოვიდა, იმ ხანად საქართველოში კარგი წიგნები დეფიციტს წარმოადგენდა და სწრაფად გაიყიდა. ბატონმა გურამმა საკუთარი “მარაგი” სულ დაარიგა, მაგრამ ნაცნობები მაინც სთხოვდნენ ამ კრებულის ჩუქებას. მწერალმა გადაწყვიტა, რომ თავად შეეძინა მაღაზიებში, მაგრამ ყველგან გაყიდული დახვდა. საწყობშიც აღარ დარჩენილიყო. ურჩიეს, აეროპორტის დასახლებაში მდებარე წიგნის მაღაზიაში მისულიყო. მოძებნა მაღაზია:

- გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების კრებული თუ გაქვთ?

- ბოლო ეგზემპლარი ერთი საათის წინ გავყიდე, - უპასუხა გამყიდველმა.

იმედგადაწურულ და დაღონებულ მწერალს რომ შეხედა გამყიდველმა, მისი დამშვიდება სცადა:

- ბატონო ჩემო, დიდად ნუ ინაღვლებთ, გული არ დაგწყდეთ, სწორედ გუშინ დავამთავრე მაგ წიგნის კითხვა და გულწრფელად რომ გითხრათ, დიდი არაფერია, სისულელეა!

გოეთე ვაიმარის პარკში სეირნობდა. ვიწრო ბილიკზე, სადაც მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო გავლა, ადგილობრივი კრიტიკოსი შეხვდა. იგი მტრულად იყო განწყობილი გოეთესადმი და მკაცრად უთხრა:

- მე სულელებს გზას არ ვუთმობ!

- მე კი პირიქით,- ღიმილით მიუგო პოეტმა და განზე გადგა.

ლონდონში პიესა "პიგმალიონის" პრემიერის შემდეგ აღფრთოვანებულმა დარბაზმა ტაშის ფონზე ავტორს მოუხმო. სცენაზე ბერნარდ შოუს გამოსვლის მომენტში ჩაბნელებულ იარუსიდან მხურვალე ოვაციას ერთი სტვენა შეერია. შოუმ იარუსისკენ ხელი გაიშვირა და სევდიანად შესძახა:

- სავსებით გეთანხმებით, მეგობარო, მაგრამ მარტო მე და შენ აბა ამდენ ხალხთან რას გავხდებით?

ერთხელ მარკ ტვენმა მიიღო ანონიმური წერილი, რომელშიც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: ,,ღორი''.

მეორე დღეს მან გაზეთში მოათავსა პასუხი: ,,ანონიმურ წერილებს მე ტრადიციულად ხელმოწერის გარეშე ვიღებ, მაგრამ გუშინ მივიღე ბარათი, სადაც მარტო ხელმოწერა იყო''.

ინგლისის მეფემ - ჰენრიხ VIII-მ ყალბი მონეტების მოჭრით სახელმწიფო კრიზისს სძლია, რომელიც მას შოტლანდიასთან წარუმატებელი ომის მიზეზით შეექმნა: სპილენძის მონეტები მისი ბრძანებით ვერცხლით დაფარეს, მაგრამ ისინი სწრაფად გაცვდა, ყველაზე პირველად კი ჰენრიხის გამოსახულების ცხვირზე, რომელიც ამოკვეთილი იყო მონეტაზე. ამიტომ ჰენრიხ VIII-ს სპილენძისცხვირა შეარქვეს.